წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 10 კ. | ტელეფონი № 76. | შაბათი 17 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ... ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ არა უმეტეს სამ ... 5 მ.
... 2 სათის შემდეგ . . 6 მ.
რედაქცია და კანტორა ... ...
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 56 | ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | № 56

დავით ბესარიონის-ძე ხელთუფლიშვილი დებითურთ გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გადაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი დის

**ელენე ბესარიონის ასულის ხელთუფლიშვილის**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა მიცვალებულის კვირას დილით 9 საათზე

---

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას გამგეობის წევრის

**ელენე ბესარიონის ასულის ხელთუფლიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას.
პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე (ივანოვის ქუჩა, ყაზაროვის სახლი). გამოსვენება და დაკრძალვა კვირას დილის 9 საათზე.

---

მოულოდნელ მწუხარებით თავზარდაცემული ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაცია აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას ტრაგიკულათ გარდაცვალებას თავის დაუვიწყარ და უძვირფასეს ამხანაგის ამა სასწავლებლის მასწავლებლის

**ელენე ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასულისას**

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, ივანოვის ქუჩა, სახლი კაზაკოვისა. გამოსვენება ცხედრისა კვირას, 18 ივნისს, დილის 9 ნახევარ საათზე.

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 15 ივნისიდან

**შეურაცხყოფილი ვენერა**

კინო-პოემა 5 ნაწ. (ციკლი: დიდება უგონობას) მარია რუტცისა და ხოხლოვის მონაწ.

**ლიას ვერ მოარჯულებთ!** სახუმარო.

**ანონსი:** 19 ივნისიდან 1917 წ.

**მეუღლე თუ დედა?**

2 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა, ბრისკვისა და რიმსკისა.
**მოსამსახურე №3** კომედია 2 ნაწ. სკანდალინის მონაწ..
**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

---

## სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჯიმოკებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს 17 ივნისს 1917 წ. გაიმართება საშაბათო წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, რომელიც შესდგება საუკეთესო ცირკის რეპერტუარისაგან. მთელი შემოსავალი გადაიდება ქალთა პოლიტიკურ კლუბის სასარგებლოთ. კოლოსალურ წარმატების მიხედვით, ბელგიელთა დასი.

**5 კლიკეტი,**

დარჩება რამდენიმე დღით

28 დღე ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს 4 წყვილი: 1. ვახტუროვა და ანატემა, 2. რომანოვა და მანკო, 3. აზელკროტი და სულეიმანი, 4. კავკასიურად იჭიდავებს გიდიევი და ბუხაიძეშვილი. დასაწყისი წარმოდგენისა 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

(**სტუდენტი**) **ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**
ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს. თ—1

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შარდგსნი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. და საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემანსის სახლი

---

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსიძე** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
მისამართი: ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

# დღეს:

**წერილები:**

ი. იმერელი—ჭიათურა.
გლეხი—სოფლის გლეხი პროლეტარი როდია.
ა. გარსევანიშვილი—ე. ხელთუფლიშვილის ასულის ხსოვნას.
შ. კარმელი—მონასიბი (ლექსი).
სანტე—ახსნა
ბონდო—სოფელში.
შ. ბუაჩიძე—პლეხანოვი და უკრაინელები.
რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. ...ეთი. ეროვნული კითხვა. მსოფლიო ომი. ქართველთა პროტესტი. იმერეთის ეპარქ. დიაკ. და მედავითნ. დამფ. კრება. საქონლის ძვირთან ბრძოლის პირობები ... საქართველოში. ანგარიში სადგილმამულო კომისიისა. ახალი ამბავი.

---

# ეროვნულ-დემოკრატიულ

## პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში

(ტფილისის ქ. სობ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

---

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

## დღეს, 17 ივნისს ქვიტირის

ქუჩაზე, კოსტა ბაბუნაშვილის სახლში გიმართება

## საღამო

წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ. ა. რ.

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან 15 ივნისიდან ნაჩვენები იქნება

**თავადის ქალი ლარისსა.**

მხატვრ. დრამა 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და ქერუვიმოვის მონაწ.
**ორი ტურფა** სახუმარო ბ-ნ სკანდალინის მონაწ.

**ანონსი:** 19 ივნისს 1917 წ.

**ცოდვისა და სისხლის ხალხი**

დღიურ პრო-გრამიდან მონ. ა. ი. ტერეკი და სხვა.
**მოტყუებული ქუნწი.** სახუმარო..
**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

# ჭიათურა

ქართველი ხალხის თვით-აღორძინებამომავალი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე თუ როგორის ნიჭით, შეძლებით და მოხერხება-დაკვირვებით ვიშრომებთ. ჩვენს ცხოვრებაში აღძრულ კითხვების დაკმაყოფილებისთვის, მოვლინებულ კრიზისებისთვის ზრუნვა ყოველი ქართველის პირდაპირი მოვალეობაა.

3 წელია, რაც რუსეთის მთავრობამ ჭიათურაში უცხოელთა მფლობელობის ლიკვიდაცია გამოაცხადა. ჭიათურა მადნეულობის ულევი საშეფოა, წარსულში იგი სავსებით ქართველების კუთვნილება იყო. მაგრამ ჩვენი წინდაუხედაობით და უჭკუობით ჭიათურის მადნიან ადგილების დიდი ნაწილი ხელიდან გამოგვეცალა.

დღეს ვუბრუნდებით საკუთარ ცხოვრებას დავიწყებთ ეროვნულ თავის მოვლას.

ასეთ დროს ჩვენ შეგვიძლია ჭიათურის საგანძურის ხელიდან გაშვება?

ერის სიძლიერე რაში გამოიხატება?

უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ სიმაგრეში და ნივთიერ სიმდიდრეში. ხალხს, რომელსაც ეროვნული დოვლათი არა აქვს, ვერ შესდგება აყვავებისა და გაძლიერების გზაზე, განათლებული ქვეყნები სამტრო სასიცოცხლო ომს აწარმოებენ ეკონომიურ პირველობის და უპირატესობის მოსაპოებლად.

ჩვენისთანა პატარა ერს ყოველ გვარათ ჩამოქვეითებულს და ღატაკს გამუდმებული შეგნებული მუშაობა სჭირია წელში გასამართავად. ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ შევიმატოთ ნივთიერ სალსრის მომცემი წყაროები. დაკარგვა რომელიმე შემოსავლიან საწარმოვო ადგილისა ჩვენს თვით მკვლელობას უდრის. როგორ მოეწყობა თავისუფალი საქართველოს ცხოვრება, თუ კი მას ეროვნული შემოსავალი აღარ ექნება.

საიდან განვითარდება ქართული ვაჭრობა-მრეწველობა, თუ საწარმოვო მასალები წაგვერთმევა. ჭიათურას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. მისი ჩვენთ ხელთ გადმოსვლა ისე საჭირო როგორც საქართველოს თვით მმართველობა. გაზ. „საქართველო“ აღნიშნავს, რომ მიუხედავათ იმდენი წუწუნის და ყვირილისა ჭიათურის მფლობელობის გამოსასყიდათ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია. ბოლოდროს ის უბედურება მომხდარა, რომ განახლებული რუსეთის მთავრობა, რომელიც ყველგან ადგილობრივ ინტერესებს უნდა აქცევდეს მთავარ ყურადღებას და შეთანხმებულად იძლეოდეს ამა თუ იმ განკარგულებას, ჭიათურის სიმდიდრეს ქართველ ხალხს ხელიდან აცლის.

დრ. მმართველობა სრულიად მოულოდნელად ჭიათურაში უცხოელთა მფლობელობას სახელმწიფოს კუთვნილებად აცხადებს.

ამ „საკუთრებას“

სახელმწიფო იჯარითი აძლევს სხვადასხვა კერძო პირებს. ქართველ ხალხს ჭიათურა ეკარგება.

გულ-ცივათ შევყუროთ ამ მოვლენას?

ყოვლად შეუძლებელია საჩქაროდ უნდა მივმართოთ საქმეს, მიზან შეწონილ საზომით.

ნუთუ ვინ იტყვის, რომ ქართველ ხალხს ჭიათურის გამოსყიდვა არ შეუძლიათ. ორ მილიონ ქართველს ჭიათურის, თავის სამემკვიდრო ადგილის, შენარჩუნება არ ეხერხება?

ღმერთმა ნუ ქნას ეს ასე. მაშინ რა მომავალს უნდა შევყურებდეთ?! ჭიათურის მფლობელობის შეძენა ჩვენ შეგვიძლია. მაშასადამე ახლა უნდა გადავდგათ რეალი ნაბიჯი. თუ კერძო ან საზოგადო დაწესებულებები ვერ შესძლებენ საჭირო თანხის გაღებას, მაშინ ეს საქმე უნდა იკისროს სრულიად საქართველოს ერმა. ეროვნული ბანკი, ან ეროვნული თანხა ერის დიად საქმისთვის. დრ. მმართველობას. მთლიან საქართველოს სახელით უნდა ეთხოვოს, რომ ჭიათურა ქართველ ხალხს დარჩეს.

ხმა ამოვიღოთ და საერთო სახალხო კითხვას შესაფერად მოუაროთ.

უქნარობის ფსიქოლოგია თავიდან მოვიშოროთ. ჭიათურა რომ უცხოელებს ჩაუვარდეს ხელში, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ქართველი ხალხი ყოველ-გვარ თაოსნობას მოკლებულია და მას არ შეუძლია საკუთარ ეროვნულ ცხოვრების გაჩაღება.

ნუ ვიქმთ ამას!

ი. იმერელი

---

# სოფლის გლეხი პროლეტარი როდია.

სანამ თვით-მპყრობელი მეფის სულთამხუთავი მთავრობა საშინლათ ჩაგრავდა მთელ მშრომელ ხალხს და კაპიტალისტების და დიდი მემამულეების საწველფურათ გეხადა იგი, ქარხნების მუშები და სოფლის გლეხები ხელი ხელ ჩაკიდებული ებრძოდენ ამ მთავრობას. ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო. მხოლოთ დღეს, როდესაც ძველი მთავრობა დამხობილია, დროა გავითვალისწინოთ გლეხის და ქარხნის მუშის, პროლეტარის სხვადასხვაობა. გლეხი არის და უნდა იყოს კიდეც კერძო მესაკუთრე; მას ძლიერ კარგათ აქვს შეთვისებული ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოთ კერძო საკუთრებას შეუძლია შექმნას მისი კეთილდღეობა. კერძო საკუთრების მოსპობა, ესეიგი ქონების საერთოთ გადაქცევა კი ყოვლათ წარმოუდგენელია და შეუწყნარებელი: იგი შორს დასწევდა უკან ქვეყანას ველურობისკენ. ჩვენ აქ ამის მტკიცებას არ გამოუდგებით, მხოლოთ აღვნიშნეთ ეს, როგორც ფაქტი. პროლეტარის სულის კვეთება კი სულ სხვაა, და ეს ადვილი გასაგებიცაა. პროლეტარია ღატაკია, ბოგანო, არავითარი ქონება, გარდა თავის მკლავების ძალისა მას არ გააჩნია, და რა კერძო საკუთრება უნდა დაიცვას. რასაკვირველია ის მისი მომხრეა, რომ ყოველივე ქონება საერთო იყოს.

ეს ზოგადი დებულებაა. ეხლა კონკრეტიულათ ვიმსჯელოთ. პროლეტარი ცდი-

ლობს, რომ, რაც შეიძლება, მეტი სამუშაო ქირა აილოს და სამუშაო დღე შეამოკლოს. იგი აკეთებს რკინეულობას, ფართლეულობას, ჭურჭელს და ბევრს სხვას ქარხნებში. როდესაც მექარხნე იძულებულია მუშას ქირა უმატოს, იმავე დროს მან მუშის, პროლეტარის, დამზადებულ საქონელს უეჭველათ ფასი უნდა მოუმატოს. ცხადია ისიც, რომ ფართლის რკინეულის და ბევრი სხვა პროლეტარის მიერ დამზადებული საქონლის მყიდველი გლეხია, მაშასადამე, ზედმეტი ქირა პროლეტარისა გლეხის ჯიბიდან ამოდის. ნურავინ შეგვწამებს იმას, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვიყვნეთ პროლეტარის დღის ქირის გადიდების ან სამუშაო დღის შემოკლების. არა, ჩვენ მაგას არ მოგახსენებთ: პროლეტარის ცხოვრების წყარო მხოლოთ დღიური ქირაა, და რომ იმან კაცურათ იცხოვროს, რასაკვირველია, რაც შეიძლება მეტი ქირა უნდა აილოს, მხოლოთ სამართლიანობა მოითხოვს, რომ გლეხებზედაც ვიზრუნოთ. პროლეტარებს თუ ყავთ თავის ინტერესების დამცველნი, სოციალდემოკრატები, გლეხებსაც უნდა ყავდეთ მათი ინტერესების დამცველი. შეუწყნარებელი უგნურება იქნებოდა, რომ მათი ინტერესების დაცვა სოციალ დემოკრატებისთვის პროლეტარიატის მეთაურებისთვის, მიგვენდო. ამას ნათლათ დავინახავთ, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული ფაქტების გარდა კიდევ იმ გარემოებას, რომ გლეხის ნაწარმოებს პურს, ხორცს, ყველას, მწვანილს, ხილეულობას და სხვას ყიდულობს და ხმარობს ქალაქის ქარხნის მუშა პროლეტარი რანაირათ შეიძლება, რომ პროლეტარების წარმომადგენელმა მისი ინტერესების დამცველმა, ამ სოფლურ ნაწარმოებს ფასი მოუმატოს, თავის წინააღმდეგ იმოქმედოს. ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე, გლეხებს თავისი ინტერესების საკუთარი დამცველნი უნდა ჰყავდეს.

ხოლო მომავალმა თავისუფალი ჩვენი ქვეყნის მთავრობამ საქმე ისე უნდა დააყენოს, რომ არც პროლეტარი დაიჩაგროს და არც გლეხი.

**გლეხი.**

## რუსული პრესა.

თუ რა სულის კვეთებას ბადებს რუსეთის განათლებულ ლიბერალურ წრეებში ეროვნული მოძრაობა, რომელიც იმპერიას მოედო, ამისათვის ფრიად დამახასიათებელია გაზ. „რუს. ვედ." მეთაური (იხილე 10 ივნისის ნუმერი). გაზეთი სწერს:

„მეტად საკვირველ და სამწუხარო მოვლენას რუსეთის რევოლუციისას შეადგენს ის, რომ ძველი წესწყობილების დროს გაბატონებულ ეროვნების წარმომადგენლები,ველიკოროსები, არა მარტო სრულიად რუსეთულ, არამედ უბრალო ეროვნულ, ველიკოროსულ გრძნობასაც კი მოკლებული ყოფილან. ხალხი, რომელმაც ტანჯვა ვაებით საუკუნეთა განმავლობაში შექმნა დიდი იმპერია, ხალხი, რომლის ზრდაგანვითარება დასავლეთელ მეთვალყურეს შიშის ზარს ჰგვრიდა, დღეს, ამ განკითხვის ჟამს, თითქოს უწესრიგო გროვად გადაქცეულა და თავდაცვის ყოველი გრძნობა დაუკარგავს. არა მარტო პესიმისტებს ეზმანებათ, რომ მის მიერ შექმნილი იმპერია ესეც არის ნაწილ ნაწილ დაიშლება. მას ჩამოშორდა რუსთა თანხმობით პოლონეთი, ყოველ თანხმობის დაუკითხავად ჩამოსაშორებლად ფინეთი ემზადება. ზღაპრული სისწრაფით ისხამს ხორცს, ჯერ კიდევ გუშინ ფანტასტიურად მიჩნეული ოცნება უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ, და უკრაინის ფანატიკოსები თავის ჩრდილოელ ძმებს შავი ზღვისა; დონისა და ყუბანისაკენ გზების გადაჭრით ემუქრებიან. გერმანელებს არ სურთ პოლონეთის გატაცებულ მიწის ერთი მტკაველიც კი დასთმონ, ხოლო [illegible]დიდსულოვნად მზად არიან რუსეთის ყოფილ პოლონეთს რუსეთის ლიტოველთი შეუერთონ და მომავალ პოლონეთ-ლიტოველის სახელმწიფოს რუსეთის კურლანდიის ტერიტორიაზე ზღვისაკენ გასავალი გზა გაუხსნან. ლატიშები და ესტონელები უკვე ავტონომიაზე ლაპარაკობენ. თუ ესტონელთ მათი ფინელებთან ნათესაური დამოკიდებულება მოაგონდათ და თავის თანამონათესავეთა მაგალითისამებრ სრული დამოუკიდებლობის მიდრეკილება გამოიჩინეს, მაშინ რუსეთი სრულიად მოსწყდება ბალტიის ზღვას, და უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელშიც ის იოანე მრისხანეს დროებში იმყოფებოდა, — ველიკოროსიად გადაიქცევა. სწრაფად იზრდებიან რუსეთის მაჰმადიანთა მოთხოვნანი და შუა აზიის რუსეთის სამფლობელოებში ფრთას ისხამს ოცნება დიდი ბუხარეთის შესახებ. დღევანდელი აღრევა გვიქადის რუსთმოძულე გერმანელების უბოროტეს ზრახვათა გადაჭარბებას."

ხოლო ეს გარემოება გაზეთის აზრით ველიკოროსებს, არ უღვიძებს სურვილს ძალთა შემოკრებისა თავის ეროვნული არსებობის დასაცავად. პირიქით, მრავალი ველიკოროსი კიდევაც შეჰხარის იმპერიის ეროვნულ ნატეხებად დანაწილებას და იმას კი ვერ ხედავს, რომ ეს რუსეთს მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოთა კრებულიდან გამორიცხავს და ველიკოროსებს უუბედურეს, ეკონომიურად ჩამორჩენილ ეროვნებად აქცევს.

გაზეთი ერთა თვითგამორკვევის თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ თავისუფლებას თავისი საზღვარი უნდა ჰქონდესო. ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპი კაცობრიობის ისტორიის უზენაესს მიზანს არ შეადგენს, მას საზღვარს უდებს საერთაშორისო სოლიდარობის და მსოფლიო მრავლიანობაში ერთობის იდეალიო."

შემდეგ გაზეთი არკვევს კითხვას, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, წმინდა ეროვნულს, თუ მრავალ ეროვნებათაგან შემდგარს და, მოჰყავს რა, ცოტა არ იყოს თვითნებურად არჩეული მაგალითები, უპირატესობას მრავალ ერიან სახელმწიფოს აკუთვნებს.

რუსეთის რევოლუციის აზრი ის კი არ არისო, — ამბობს გაზეთი, რომ რუსეთი დანაწილდეს, არამედ ისე, რომ რუსეთის იმპერიის მრავალრიცხოვან ერთა თანაცხოვრებას საფუძვლად დაედოს პრინციპი სამართლის თავისუფლების, დემოკრატიის და საერთაშორისო სოლიდარობისაო.

## ქართველთა პროტესტი

ამ სათაურით გაზ. „რუსკაია ვოლიაში" მოთავსებულია თბილისიდან მიღებული შემდეგი დეპეში:

ქართულ გაზეთებში ვრცელი, სიმწარით აღსავსე, წერილები ისტამბება მინისტ კერენსკის მიერ კიევში წარმოთქმულ იმ სიტყვის გამო, სადაც ის ამბობდა, რომ კავკასიაში მოსახლე ზოგიერთ ერებს თითქოს განეცხადებიოს, რომ ისინი მეფესთან იყვნენ დაკავშირებული პირადი ხელშეკრულობით, რის გამო ისინი დროებითს მთავრობას არა სცნობენ და თავისს მეზობლებს თვითნებურად უმკლავდებიან.

ეს სიტყვებიო — ამბობს ქართული პრესა, — მხოლოდ ქართველებს უნდა ეხებოდეს, რადგან კავკასიაში ნამდვილად მხოლოდ ქართველი ერი იყო რუსეთთან ხელშეკრულობით დაკავშირებული, მაგრამ არა პირადად მეფესთან, არამედ ორმხრივის ტრაქტატით საქართველოზე პროტექტორატის შესახებ. ეს საერთაშორისო ხელშეკრულება, ორ სუვერენ სახელმწიფოთ შორის 1783 წელს დადებული, შემდეგ ერთმა მხარემ დაარღვია და ანექსიის წესით საქართველოს შემოერთება გამოაცხადა. ამ ხელშეკრულობის ძალაში ყოფნის უარყოფა ანიროხნიით მისი მოხსენება მოგვაგონებს გერმანეთის კანცლერის განცხადებას „ქაღალდის ნაფლეთის" შესახებ.

კერენსკის განცხადება იმის შესახებ, თითქოს აქ (კავკასიაში) დროებითს მთავრობას არა სცნობენ, ყველას აოცებს, რადგან კავკასიის ყველა ერმა, მათ შორის ქართველი ხალხის ყველა წრემ, ჯგუფმა და პარტიამ რევოლუციის დაწყები. დანვე არა თუ აღიარა დროებითი მთავრობა, არამედ აღტაცებით გამოუცხადა მას ერთგულება, რომელი გრძნობაც დღემდე უცვლელი რჩება. განცხადებას მეზობლების ჟლეტის შესახებაც აქ წმინდა წყლის გამოგონებად სთვლიან, რადგან აქ არავის გაუგონია რა იმის შესახებ, რომ ქართველებს ოდესმე ასეთ გამკლავებისათვის მიემართოს ყველა ხმები ჟლეტისა დაქართულ შოვინიზმის შესახებ ბნელ პროვოკატორულ ელემენტების შექმნილია და ასეთ ცრუ ცნობებს, როგორც სჩანს, კერენსკი შეცდომაში შეუყვანია.

აღელვებული ქართველი საზოგადოება მოელის, რომ კერენსკი განმარტავს მინისტრის მაღალ პოსტიდან ასე გაუფრთხილებლად გადმოსროლილ ბრალდებათ.

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**პეტროგრადი.** ივნისის 14. იურიდიულმა თათბირმა განიხილა რა უკრაინელების რადის მოთხოვნილება გამოსთქვა აზრი, რომ დროებითს მთავრობას არ აქვს უფლება გადასჭრას უკრაინის ავტონომიის კითხვა. ეს საქმე შეეხება დამფუძნებელ კრებას. ამისდამიხედვით აგრეთვე ვერ გადაჭრის თათბირი კითხვას უკრაინის სამოქალაქო საქმეთა განსაკუთრებულ კომისარის დანიშვნის შესახებ. თათბირმა უარი განაცხადა აგრეთვე, რომ უკრაინელებს მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რადგან საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობენ მხოლოდ სახელმწიფოები და არა ერებიო. სამხედრო პოლკების შედგენის კითხვა კი სამხედრო მინისტრს შეეხებაო საშუალო სასწავლებელთა უკრაინიზაცია თათბირმა რთულ საქმეთა აღიარა, რადგან ქალაქთა მცხოვრებლებს მარტო უკრაინელები არ შეადგენო.

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

დეპეშები

მეფის გვარეულობაზე გადასახადების შეწერა.

**პეტროგრადი.** ივნისის 13 დროებითმა მთავრობამ დაადგინა. დაუბვავნონ გადასახადის ფურცლები მეფის გვარეულობის წევრებს დაუწყონ მათ, რომ იგინი მოვალენი არიან გადაიხადონ სახელმწიფო გადასახადი შემოსავლის მიხედვით.

საველე სასამართლოების გაუქმება.

**პეტროგრადი.** ივნისის 13. დროებით მთავრობამ დაადგინა სამხედრო საველე სასამართლოს გაუქმება. მის მაგიერ სამხედრო-საოლქო კორპუსის სასამართლოში შემოღებულ იქმნას საქმის ჩაჩქარო წარმოება.

ახალი დანიშნულებანი.

**პეტროგრადი.** ივნისის 13. დროებით მთავრობის განკარგულებით სამინისტროს დროებით მართველად გენერალ-ლეიტენანტი ლებედევი დაინიშნა. სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსად ნამყოფ ტუგან-ბარანოვსკის მაგიერ პოლკოვნიკი სურინი.

თავისუფლების სესხი.

**პეტროგრადი.** 13 აპრილის 6-დან თიბათვის 12-მდე მთელს რუსეთში თავისუფლების სესხმა 1. 508. 168. მანეთამდის მიაღწია.

კერენსკის გამგზავრება.

**პეტროგრადი.** ივნისის 13. კირენსკი ყაზანს გაემგზავრა აღმოსავლეთ ოლქების დასათვალიერებლად. იქიდან კავკასიაში გამემგზავრება.

გზათა მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდან გადადგომა.

**პეტროგრადი.** ივნისის 14. გზათა მინისტრის ამხანაგი მაცკევიჩი თანამდებობიდან გადადგა.

სამოსწავლო გემების ზღვად გასვლა.

**პეტროგრადი.** ივნისის 12. სამოსწავლო გემები: „ვერნი" და „არგუნი" ზღვად გავიდნენ.

სინდისის თავისუფლება.

**პეტროგრადი.** ივნისის 12. შინაგან საქმეთა მინისტრმა დროებით მთავრობაში სინიდისის თავისუფლების კანონპროექტი შეიტანა. ერთი რჯულიდან მეორე რჯულზე გადასვლა თავისუფლად შეიძლება, მხოლოდ სასულიერო პირებმა ეს წინდაწინვე უნდა იცოდნენ. ბავშთა სარწმუნოება დამოკიდებულია მათ მშობლებზე.

დროებითი საგრერო პროექტი

**პეტროგრადი** ივნისის 13. მიწათმოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა დროებით აგრარულ კანონის პროექტი. დამფუძნებელ კრებას მიერ მიწის საკითხის გადაწყვეტილებამდე ყველა განგებაში იქნება. ეს კომიტეტები დაადგენენ თუ სხვადასხვა საზოგადოებანი, ამხანაგობა და კერძო პირნი რაოდენ მიწას შეიმუშავებენ. და ნარჩენი მიწები საიჯარო ფონდს გადაეცემა.

პოლკებისა და ბატალიონების კომიტეტების საზოგადო კრება.

**პეტროგრადი.** 14. ივნისის სასწრაფო ყველა სამხედრო ნაწილების პოლკებისა და ბატალიონების კომიტეტთა კრებაზე განიხილეს რა მიმდინარე ამბები, დაადგინეს: მხოლოდ ჯარის კაცთა საბჭოს აქვს უფლება გამოიყვანოს ჯარი ქუჩებში მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებათ. აკრძალულ იქნას შეიარაღებულთა მიერ მანიფესტაციების მოხდენა. დაევალოს პოლკებსა და როტების კომიტეტებს მიიღონ ზომები, თვითეულთა და ჯარისკაცების ჯგუფთაგან იარაღის გამოტანისა და დემონსტრაციის მოხდენის წინააღმდეგ.

მიწის მინისტრის ამხანაგი.

**პეტროგრადი.** ივნისის 13. სამიწათ მოქმედოს მინისტრის ამხანაგად დროებითმა მთავრობამ პალეევი დაამტკიცა.

ბოლშევიკების დემონსტრაცია.

**პეტროგრადი.** ივნისის 13 სამოსამართლო პალატის პროკურორმა, წაიკითხა რა ივნისის 13 „მალენკაია გაზეთში" მოთავსებული მოწოდება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრ. მოწყობის შესახებ, შესაფერი ზომები მიიღო იმ პირთა შესაპყრობლად, რომელთაც დემონსტრაციის გამართვა განიზრახეს. ამის გამო დროებით მთავრობამ გამოსცა მოწოდება რომელშიც სხვათაშორის ნათქვამია, რომ დროებითი მთავრობა მუდამ ენერგიულ ზომებს მიიღებს ასეთ ბოროტ განზრახვათა ჩასაქრობად.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**ტოკიო.** ივნისის 13. საგარეო საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა, რომ ძირითადი პრინციპები იაპონიის პოლიტიკისა უცვლელად რჩებიან. მინისტრი ეხება შეერთებულ შტატებისა და გერმანეთის დამოკიდებულების შეწყვეტას და სხვა ნეიტრალ სახელმწიფოთა ურთიერთობას. მინისტრმა განაცხადა, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას რუსეთთან დამოკიდებულება უნდა იქცევდესო.

მინისტრმა აღნიშნა, ეს უკანასკნელი 10 წელიწადია რაც ჩვენ რუსეთთან მეგობრულ განწყობილებებში ვართ და არც შეიძლება, რომ რუსეთ-იაპონიის მეგობრული კავშირი შესწყდესო.

დასასრულ მინისტრი ამბობს, ომის გათავების საქმის წინდაწინ გადაჭრა შეუძლებელიაო და არც შეიძლება, ითქვას რამე წინდაწინ იმ სიძნელეთა გამო, რომელნიც დაკავშირებულია ომის საბოლოო ლიკვიდაციის მოხდენის საქმესთან.

ყუმბარების საწყობის პოვნა.

**ქრისტიანია-** თიბათვის 11. ოფიციალ ცნობით, რამდენიმე დღის წინად, პოლიციას სამი უცხოელი შეუპყრია და კერძო ბინაზე ყუმბარების საწყობი აღმოუჩენია. სადგურზე უპოვნიათ აგრეთვე ასაფეთქებელ მასალით სავსე ყუთები. პოლიციას მოქმედება არ დაუსრულებია, რის გამო დაწვრილიბითი ცნობებს ვერ აქვეყნებენ, შეპყრობილთ შორის უმეტესად ფინელები არიან, მათში ნორვეგიელი არ ურევია.

ფინანსების მინისტრი — ბანკანეკი, სახელმწიფო თავდაცვის მინისტრი — ფელდმარშალი ბინკენშტეინი. სურსათის მინისტრი — პფერი.

უკანასკნელ დეპეშაში „კორესპოდენტ ბიურო იტყობინება, რომ ახალ მინისტრ-პრეზიდენტის თანდასწრებით რეიხსტაგის სხდომა იყო. ზეიდლერს განუცხადებია ახალი კაბინეტი დროებითია და მისი დანიშნულება მხოლოდ იმაშია, რომ ბიუჯეტი მიაღებინოს რეიხსტაგს

ჩინეთის მდგომარეობა.

**პეკინი.** თიბათვის 12. სამხედრო მინისტრად დაინიშნა ვანე ჩიჩხენი, საზღვაო მინისტრად სახჩანლინი. ყოფილი მთავარი ადმირალი აჯანყებულთ მიემხრო და შანხაის დამოუკიდებელი ფლოტის მეთაურობა იკისრა.

მინსკის კათოლიკეთა ეპისკოპოსი.

**მინსკი.** თიბათვის 13. ვილენის ეპარქიის უფროსი მინადკევიჩი რომაელთა კურიის დადგენილებით მინსკის კათოლიკეთა ეპისკოპოსად დაინიშნა.

ახალი კაბინეტი.

**სტოკჰოლმი.** ივნისის 13. ვენის საკორესპოდენტო ბიურო იუწყება რომ საპარლამენტო წრეებში მოუყვანიათ შემდეგი სია ახალი კაბინეტისა: პრემიერ-მინისტრი ზეიდლერი, შინაგან საქმეთა მინისტრი-გრაფი ტოგენბურგი, განათლებისა [illegible], სამართლისა [illegible], საფინანსო საქმეთა ბანგანევი, სახელმწიფო თავდაცვის მინისტრი ფელდმარშალი ბირკენშტეტენი და სასურსათო საქმეთა-იფენი. როგორც საკორესპოდენტო ბიუროს შემდეგი დეპეშა იუწყება ახლად არჩეულ პრემიერ მინისტრის დროს თანდასწრებით გაიმართა რეიხსტატში სხდომა პარტიის ლიდერებისა, სადაც თავმჯდომარე გრონსმა პრემიერ მინისტრი ლიდერებს გააცნო. ზეიდლერმა განაცხადა, რომ ახალ კაბინეტს დროებითი ხასიათი აქვს და ევალება მიღება დროებითი ბიუჯეტისა დეპუტატების მანდატების გაგრძელება, დელეგატების არჩევნების მოხდენა, რის შემდეგ ის მუდმივ კაბინეტს დაუთმობს ადგილს.

**ვაშინგტონი.** ივნისის 13, პრეზიდენტ ვილსონის ბრძანებით შესდგა განსაკუთრებული წრე, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს გემების მიმოსვლას და მათ გაჩხრეკას.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

დასავლეთის ასპარეზზე.

**ლონდონი.** 13 ივნისი. ოფიციალი. ლონდონში ივნისის 13 საჰაერო ფლოტის მოქმედებით მოკლულია 157 კაცი. დაჭრილია 432 კაცი მათ რიცხვში 24 ქალი და ორი ბავში მოკლულია, ხოლო დაჭრილია 110 ქალი და 100 ბავში.

**ლონდონი.** 12 ივნისი. ოფიციალი. ჩვენ ძლიერად ვმოქმედებდით. ჩვენი ჯარი შეიჭრა მტრის თხრილებში ბიულეკურის მახლობლად. ლოოსის მიდამოებში მტერმა დიდი ზარალი ნახა. მოკვდა მათი 15 კაცი და ტყვეთ ჩავვივარდა 2. მტრის თხრილებში ყოფნის დროს ჩვენმა ჯარმა გაანადგურა რამდენიმე მტრის საფარი. ჩვენ მნიშვნელოვანს ოპერაციას ვაწარმოებდით ფარმეს ჩრდილოეთით. წამოვიყვანეთ ტყვეები. ჩვენ წინ წავიწიეთ.

**პარიზი.** 12 ივნისი. ოფიციალი. საარტილერიო სროლაა, რომელიც განსაკუთრებულს მწვავე ხასიათს იღებდა იურტებიზის სექტორში და მეაიველას ჩრდილო ნაპირებში. დროგამოშვებით მტერი ძლიერად გვიშენდა. მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა საარტილერიო ბრძოლა. ბრძოლის დროს მოქმედებდნენ ხელით სასროლ ყუმბარების შეწყობით.

აღმოსავლეთის ასპარეზზე.

**პეტროგრადი.** 14 ივნისი. ოფიციალი. აღმოსავლეთისა და რუმინეთის ფრონტზე სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზზე.

**პეტროგრადი.** 14 ივნისი. ოფიციალი. სერდემის სამხრეთით ჩვენმა მოწინავე ჯარის ნაწილმა ოსმალონი უკუაგდო. ნიოტკის მიდამოებში ჩვენ წინ მივიწევთ.

იტალიის ასპარეზზე.

**რომი.** 12 ივნისი. ოფიციალი. გუშინ არტილერია სუსტად მოქმედებდა. ხდებოდა უმნიშვნელო შეტაკებები მზვერავთა რაზმებისა. ბახარის ველით. მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

## ახალი ამბავი

◆ საქალაქო დებულების შემოღება. ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის განკარგულებით საქალაქო დებულება წესდება შემდეგს ადგილებში: გუდაუთსა, ოჩამჩირესა, არმავირსა, ზუგდიდსა, ახალსენაკსა, სამტრედიასა,, ჭიათურასა, ართვინსა და ყარსში.

◆ ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის დადგენილებით ადმინისტრატიულ თანამდებობათაგან გადაყენებული პირები მილიციისა და კომისარიატის სამსახურში არ უნდა მიიღონ.

◆ ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს პეტროგრადიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ დროებითმა მთავრობამ საოლქო სასამართლოებთან ადმინისტრატიული განყოფილებები დააწესა.

— ელენე ხელთუფლიშვილის გარდაცვალების გამო საეპარქიო ქალთა სასწავლებლის მასწავლებელთა და აღმზრდელთა კორპორაციამ გადასწყვიტა განსვენებული ელენე ხელთუფლიშვილის ხსოვნის

პატი ვსაცემით გვირგვინის მაგიერ 50 მანეთი გადასცეს სახალხო უნივერსიტეტს სადღაც. განსვენებული ხანგრძლივ მოღვაწეობდა.

**სამღ. შიკრიბ.** იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების კომიტეტმა თავის შემადგენლობიდან რამდენიმე წევრს დაავალა 19 ივნისს დ. ზესტაფონში სამაზრო სამღვდელოების კრებას დაესწროს.

✦ **ჟურ. „კოოპერაცია".** რედაქციამ მიიღო ჟურნ. „კოოპერაციის" მე-6 ნუმერი, შემდეგი შინაარსით. 1) მეთაური; 2) 10 მცნება ორატორთათვის; 3) დადგენილებანი ადგილობრივი კავშირის შესახებ; 4) სრულიად რუსეთის საკავშირო დაწესებულ. წარმ. ყრილობა; 5) სრულიად რუსეთის საკოოპერაციო ყრილობათა საბჭო; 6) სახალხო ბანკის ყრილობა; 7) სტატისტიკური ცნობები საკოოპერაციო მოძრაობის შესახებ; 8) ვილლიამ მაქსუელი (ბიოგრაფია სურათით); 9) ქუთაისის სამ. საზ. „კოოპერაციის" სარევ. კომისიის თეზისები; 10) მცირედი დასაწყისი, დიდი მოსავალი; 11) მიწის საკითხი (აგრარულ საკითხთა ლიგა); 12) საკოოპერაციო ცნობები; 13) ბიბლიოგრაფია, საკ. ჟ. „კავშირი"; 14) განცხადებანი.

✦ **ხმები.** როგორც ხმა დადის ქუთაისის სამხედრო საბეგრო სამმართველოს ძველი შემადგენლობა გადაყენებულ იქნება.

✦ **დაპატიმრება.** აჯამეთის სადგურზე დააპატიმრეს უცნობი პირი. რომელიც მგზავრებში პროვოკაციას ეწეოდა.

✦ **შაქარი.** სასურსათო საქმეთა სამინისტროს ცნობით ივნისის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიისთვის გადადებულია 21 ათასი ფუთი შაქარი.

✦ **„მამის მკვლელი" პიესათ.** ს. ცრემლიანმა ალ. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა „მამის მკვლელი" გადააკეთა ხუთ მოქმედებიან დრამათ.

✦ **ავათმყოფობა.** ბოლო დროს ქუთაისში ძლიერ გახშირდა მუცელა და სხვა გადამდები ავადმყოფობა.

✦ **ამინდი.** ეს ორი დღეა ქუთაისში საგრძნობლად ჩამოცხა.

✦ **ბაღდადის რკინის გზა.** ბაღდადის რაიონის კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ გზათა მინისტრმა ნება დართო ბაღდადის ტყეში გაყვანილ იქნას რკინის გზა.

### თბილისი.

— **ბალმონტის მოგზაურობა.** ამ მოკლე ხანში მგოსანი ბალმონტი გორსა და ქუთაისს ესტუმრება და ლექციებს წაიკითხავს შოთა რუსთაველის შესახებ.

— **სოფლის მასწავლებელთათვის ჯამაგირების მომატება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, დროებითი მთავრობას 60,000 მანეთი გადაუდვია ძირითადი ჯამაგირების მოსამატებლად თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთათვის. თითო კაცს მიემატება მიმდინარე წლის მარტის პირველიდან თვიურად 20 მანეთი. ამ რიგად სოფლის მასწავლებელს თვიურად 70 მანეთი ექნება ჯამაგირი.

— **ქართული სატეხნიკო საზოგად.** დამფუძნებელი კრება მოხდება დღეს, თიბათვის 16-ს, საღამოს 8 ს. დეპუტატთა საკრებულოში. განსახილველია და დასამტკიცებელი საზოგადოების წესდება, მოხსენება საბჭოსი, სექციებისა და მიმდინარე საქმეები. ვინც დღეის კრებამდის და თვით კრებაზედ ჩაეწერება საზოგადოების დამფუძნებელ წევრებად ჩაითვლება.

✦ **ადგილობრივ ენების მასწავლებელთა შუამდგომლობა.** 15 ივნისი. დროებითი მთავრობის კომისარს კიტა აბაშიძეს წარუდგნენ თბილისის საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივ ენების მასწავლებლები და შუამდგომლობა სთხოვეს, რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო ბეგარისაგან, შუამდგომლობა თუ არ შეიწყნარეს, შემოდგომიდან ადგილობრივი ენების სწავლება შესწყდება თბილისის საშუალო სკოლებში. რადგან მასწავლებელთა უმრავლესობას ეხლა იწვევენ ჯარში.

✦ **ნ. ნიკოლაძე** პეტროგრადიდან თბილის ჩამოვიდა. ის ეხლა ფოთში მიემგზავრება და იქიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში წაიკითხავს ლექციას ეხლანდელ მომენტის შესახებ. ლექციაში დიდი ადგილი ექნება დათმობილი საკითხს საქართველოს შესახებ.

✦ **ქართული თეატრი.** დრამატიული სა-

## მონასიბი.

დილაბინდზე ვლექსაობდი ერთხელ მონასიბათ
და სცვიოდა მზის რითმები შაირს მონაითიბათ.
მე ვქარგავდი: ასხივდება ვარდათ თალხი ჩრდილო,
იქორწინებს თიბათვეში ჩემი საგაზრდილო!
წითელ დროშით რაინდები პალატს შემოსარავს,
ყვითელ ქოშით ავაკისკრებთ ასულს ოქროს კარავს!
მზე ჭაბუკი სამეუფო გვირგვინს დაიმკვიდრებს
და მარიხის ძლევის კვერთხით სახე-ს გაიმდიდრებს!
ისე ჰკრეფდა ჩემი მუზა მაშინ ნეტარებას,
რომ... რომ, სულო, ვერც კი ვბედავ სიტყვით შედარებას!
ცქაფ-ნატიფად დავეშურე მტერზე ასამხედრათ,
გარნა მხოლოდ სიტყვა დამრჩა მგოსანს დასაყვედრათ!
დამსხვრეულად ალმასობდა მზეზე სრა შუშების,
თან ნავლობდა მწველ კოცონზე ნემტი ჯაშუშების!
ოქროს კარავს რონინებდა დედოფალი სპეტად,
სამაჯურზე კიდევ აჩნდა ჯაჭვი შენაწყვეტად.
სხივო ოქსინო წავახურე თავზე თხელ ფარაჯათ,
მოწამლული ხანჯლით დავდეგ კარზე მე დარაჯათ!
და ვცოდეს: ვისაც უნებს ავნოს რამე ცირას—
იმან უნდა გაიაროს ჩემი ხანჯლის პირას!...

**შ. კარმელი**

ზოგადოების მსახიობებს დაუთმო „ახალ საკრებულოს" („ხარფუხის კლუბი") მამასახლისთა საბჭომ კლუბის სცენა წარმოდგენების გასამართად კვირაში ორჯელ.

✦ **ვ. გუნიას იუბილე.** „ახალი საკრებულო" ადმინისტრაცია ამ დღეებში სადღესასწაულო იუბილეს გაუმართავს ვალ. გუნიას მის 35 წლის საზოგადო და სასცენო მოღვაწეობის შესრულების გამო.

✦ **გ. ნ. ყაზბეგი.** თავმჯდომარე ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირისა, საზაფხულოდ თავის სამშობლო სოფელ ყაზბეგში წავიდა.

### პროვინცია.

✦ **ხარაგეული.** ეს ერთი ხანია აქ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

✦ **ტყვრი.** ადგილობრივმა ალმ. კომიტეტმა დაატუსაღა ფ. ასათიანი და ყაჩაღი ქუთ. ალმ. კომიტ. განკარგულებაში გადმოსცა.

### კავკასიის ქრონიკა.

✦ **ნახიჩევანი**- 11 ივნისს 150 შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხა ნახჩივანის ახლო-მახლო სოფლებს და გაძარცვა.

— **კავკავი.** თბილისიდან კავკავის გზაზე ავაზაკებმა მოჰკლეს მგზავრი ქალი ელ. თუაშვილი.

## ელენე ხელთუფლიშვილის ასულის ხსოვნას.

რუსეთის რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა ამ ქვეყნის ძველი წესწყობილება. პატარა საქართველოც სხვა ერებთან ერთად მოელის განახლებულ ცხოვრებას. ამჟამად ყველა ქართველი-ნასწავლი თუ უსწავლელი. ღარიბი თუ მდიდარი, ქალი თუ კაცი-ცდილობს თავისი წვილი შეიტანოს იმ საერთო სალაროში, სადაც თანდათანობით იკრიბება დაგროვდება სხვადასხვა საშუალებანი დასნეულებული ერის განსაკურნავად.

დადგა დიდებული ჟამი, დრო საამო. ყოველმა ქართველმა გაიგო მთელი ერის სულის ოხვრა და კვნესა. ამოძრავდა ქვეყანა და მიილტვის წარმატებისაკენ, რომ სამუდამოთ ბოლო მოუღოს ძველებურ უზრუნველობას.

აი ასეთ დროს ჩვენთვის საჭირონი არიან ისეთი პიროვნებანი, რომელიც წარმოადგენენ ხალხისადმი უანგარო სიყვარულის განხორციელებას.

ამგვარი პიროვნება იყო აწ გარდაცვალებული ელენე ბესარიონის ასული ხელთუფლიშვილი.

სხვებთან ერთად შენც, დაუვიწყარო დაო ელენე, შეძლებისამებრ ემსახურებოდი სამშობლო მხარეს, იყავი განსჭვალული მისი კეთილი მომავლისადმი რწმენით და ოცნებობდი თავისუფალ საქართველოს აღდგენაზე.

ქართველ მცირერიცხოვან ინტელიგენტთა შორის შენ გეჭირა ღირსეული ადგილი; გიყვარდა ტანჯული ერი, გიყვარდა ყველა ქართველი განურჩევლად მისი პოლიტიკური მიმართულებისა.

როგორც შეგნებულ პიროვნებას, შენ შეგეძლო ბევრი რამ გაგეკეთებინა კიდევ ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ უდროოთ მოგვშორდი, მოულოდნელათ დაგვტოვე, სამუდამოთ გამოგვეთხოვე. შენ დაიმსახურე ჩვენ შორის კარგი სახელი, ვინაიდგან იყავი სულით სპეტაკი, გონებით მახვილი და ზნეობით მაღალი. შენისთანა ადამიანის დაკარგვა მეტად საგრძნობელია ჩვენისთანა პატარა ხალხისთვის, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა ბედნიერებასთან ერთად ათასგვარი არა სასურველი მოვლენაც მოსალოდნელია. ვინ რა იცის, რითი გათავდება ეს ჩვენი მღელვარე ზღვასავით აბობოქრებული ცხოვრება!..

დაო ელენე! რათ მოსცილდი ასე უცებ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს, რომელიც შენ ძალიან გიყვარდა და რომლის წარმატებაზე, მუდამ გატაცებით ოცნებობდი?- ვეკითხები შენ მაღალ სულს ამ დაწესებულებასთან ერთად რათ დასტოვე ობლათ შენი ღვიძლი შვილივით საყვარელი საღამოს კურსები, სადაც არა ჩვეულებრივი ენერგიით და ახალგაზდური ხალისით მუშაობდი ქართველი დემოკრატიის განსავითარებლად?. ნუ თუ ეს განძრახ ჩაიდინე?. არა, ეს არა მჯერა, ათასჯერ არა...

მაშ რა ძალამ ააშფოთა შენი წყნარი სიცოცხლე და მახვილი გონება? სულო ბოროტო!.. ვინ მიგიხმო ამხანაგ ელენეს წინამძღვრად? რათ წაართვი ენერგიით სავსე ქართველს ქალს სულიერი მშვიდობა, რათ მოუკალი მას რწმენა კეთილი მომავლისადმი? გეკითხები, რათ, რა მიზნით?

პასუხს არ იძლევი, მაცდურო!.. მაშ თუ ასეა, წყეულიმც იყოს შენი გამჩენი.

მეტი რა ღონეა, ძალა უნებურად უნდა შეურიგდეთ ჩვენ ბედს.. დაუვიწყარო დაო ელენე! თავზარ დაცემული მწუხარებით მოწიწებით ქედს ვიხრი შენი პატიოსანი გვამის წინაშე. გაძლევ მტკიცე სიტყვას, რომ ხსენება შენი ჩვენ შორის წმინდა იქნება მარადის. არ დაგივიწყებენ სიკვდილამდე შენი მადლიერი მოწაფენიც, საღამო კურსების მსმენელები და ის ოცნება, რომელით ყმაწვილობიდგან იყავი გატაცებული, სინამდვილეთ გადაიქცევა კვლავ აღსდგება საქართველო თავისუფალი და განახლებული.. ამ რწმენას ნუ დაკარგავს შენი ობოლი სული, რომელიც აწ იმყოფება იქ სადაც მართალნი განისვენებენ მშვიდობით კეთილო ადამიანო!. მიიღე ჩემგან უკანასკნელი ძმური სალამი...

**ალ. გარსევანიშვილი.**

## სოფელში.

(წერილი გურიიდან.)

რუსეთიდან ახალი ჩამოსული ვარ მეინტერესება ჩემი სამშობლოს ხალხის ამდროული სულიერი განწყობილება. კვირა დღეა. ლანჩხუთში თავი შეიყარა რამდენიმე ინტელიგენტმა და თითქმის ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელმა. თანამეთროვე მომენტს შეეხენ, ყველა ლაპარაკობს, რომ საქართველოს თავისუფლება უნდა, ის დღეს უთუოდ უნდა მოვიპოვოთ. ერთი პარტიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ იგი უკიდურესი ავტონომისტია, მაგრამ ამას დღემდის საქვეყნოთ ვერ ამბობდა, რადგან ხელსაყრელ პირობებს ვერ ხედავდა.

შეეხენ მიწის სოციალიზაციას.

წამოდგა გურული გლეხი.

—სოციალიზაცია ჩვენ ისე გვესმის, რომ რაც გვაქვს მიწა-წყალი, იმაზე კიდევ მოგვიმატებენ, თორემ ჩემი საკუთრება, რომ ჩამომერთვას და იგი საზოგადოთ გამოცხადდეს, ამას იარაღით შევებრძოლებით. მე ვუვლი ჩემს ბაღს, იმის ბატონ-პატრონი ვარ.

ავია თუ კარგია, ჩემი საკუთრება მაინც არის და დღეს სხვას რავა დავანებებო,—სთქვა ყაბალახ წაკონილმა გლეხმა.

მინდოდა გამეგო, რას იტყოდა გლეხი საქართველოს ავტონომიაზე.

სიტყვა ავტონომია ცუდათ ქონდა გაგებული გლეხს.

როდესაც აუხსნეს ავტონომიის ნამდვილი მნიშვნელობა, იგი სიხარულს მიეცა და სთქვა. „თუ ვეღირსეთ მაგნაირ თავისუფლებას, მეტი რაღა გვინდაო".

ძლიერ გამიხარდა, რომ საქართველოს თავისუფლებაზე თვითონ მშრომელი გლეხი ლაპარაკობს. რკინის გზის მუშას შევხვდი. ის პირველი მეკითხება:

როგორ არის ჩვენი საქმე, გვეღირსება რამე? მოვიპოვებთ თავისუფლებასო?

— ეს ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ გონივრულად, შესაფერად და შეერთებულად ვიმოქმედებთ, ყველაფერი აგვიხდება მეთქი,—უთხარი მე.

მატარებელში რამდენიმე ქართველ ჯარისკაცს თავი მოუყრია და ამბობენ: ღმერთო, საქართველო გვაღირსე თავისუფალი. უზომოთ აღტაცებული ვბრუნდები ქალაქში. ცივ რუსეთში ყოფნის დროს ფიქრი არ მშორდებოდა, ვიტანჯოდი იმის გამო, რომ ქართველი ხალხი თავის თავს არ სცნობს და თავის ეროვნულ საჭიროებისთვის არ იბრძვის.

საბედნიეროთ, დღეს ასე არ არის. . ქართველი ხალხი ფხიზლდება.

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს და მის თავისუფლებას!

**ბონდო.**

## ახსნა.

ოთხი თვის მომხდარ პოლიტიკურ ცვლილების დახასიათებას და არსებითად გასინჯვას ვიწყებთ. მარტის თვე უზომო სიხარულის აღძვრის პერიოდი იყო. აპრილმა საშიში ღრუბლები წამოშალა რევოლუციურ ცაზე. აბობოქრებულ საზოგადოებრივ მისწრაფებას სინამდვილესთან მოუხდა შეხეთქება. „უსისხლოდ" წოდებულს რევოლუციას რგოლივით შემოეხვია იდუმალი და უცებ აღმოცენებული დაბრკოლებანი. რამ წარმოშვა, საიდგან მოდიან ეს დაბრკოლებანი?

პასუხი ადვილია.

ჩვეულებრივ ცხოვრების მამოძრავებელი პირობები ადამიანისთვის დაფარულია, ძნელად გასარჩევი, მაგრამ ხშირად ისტორია შობს ისეთ მომენტს, როდესაც ყველაფერი სინათლეზე გამოჩნდება სოციალ ცხოვრების პირობებიც გამოაშკარავდება.

ასეთ დროს საშუალება გვეძლევა „იდუმალებით" მოცულ ყოველ კუნჭულში ჩავიხედოთ და განვლილ ამბებს მსჯავრი დავდოთ.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ პასუხი უნდა გავსცეთ შემდეგ კითხვას.

რუსეთის რევოლუცია ბუნებრივი, ეროვნულია, თუ ხელოვნური? წარმოვიდგინოთ ის, რაც განიცადა რუსეთმა 40 წლის განმავლობაში, და ჩვენ ნათელ დასკვნამდე მივალთ. რუსეთის თავად-აზნაურულ ინტელიგენციაში „ლიბერალური" ძიება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩაისახა. თავად-აზნაურული ინტელიგენცია ზეკაცურ იდეალების განსახორციელებლად „ბედის ანაბარად" იყო დარჩენილი მას გვერდში არ უდგა ხალხის ძალა. პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მასსაში არ სადგურობდა. დასავლეთ ევროპის იდეალებით აღტაცებული რუსეთის „ულაშქრო" მოწინავე საზოგადოება დრო-გამოშვებით საქმეს მიმართავდა ხოლმე თავისი აღშფოთების გამოსახატავად (ამბოხებით და საზღვარ გარეთ ჩივილით), მაგრამ ეს, როგორც ზემოდ ვსთქვით, ვით არა მასიური მოქმედება უნაყოფოთ იკარგებოდა.

იმ დროს რუსეთი ერთ პროცესს ამთავრებდა. ეს იყო პროცესი, უსაღვრო ტერიტორიულ ზრდისა, თვალ უწვდენელ სამფლობელოების შეძენისა. რუსეთის სივრცე საზღაპროთ გაიზარდა. ნებსით, თუ უნებლიეთ 30-მდე სხვა ეროვნება რუსეთის ტახტის მორჩილი გახდა.

რუსეთის მახვილს ისეთი ხელ საყრელი პირობები მოესწრო, რომ იგი განმაკვიფრებელ ძლევა-მოსილებით იკვლევდა გზას, აღმოსავლეთ-დასავლეთი უბრძოლველათ ნებდებოდა რუსეთს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ და ნიკოლოზ რუსეთის სიფართოვე და 1853-6 წელს ყირიმის კომპანია მოაწყო. ამ კომპანიამ ნათლად გამოარკვია, თუ როგორის თვალთახედვის იყვენ რუსეთზე ევროპის დიდი სახელმწიფონი.

რუსეთი დამარცხდა ყირიმის ომში. ამ ამბავმა შინაური ამბოხება წარმოშვა, მაგრამ იგი საყოველთაოდ ვერ იქცა. ევროპაში რუსეთს შავ ჟანდარმერიის კორპუსს უწოდებდენ, რაც საზღვარ გარეთ მყოფ რუსის ინტელიგენციაზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. ლონდონში ჰერცენს უთხრეს: „შენი სამშობლო დესპოტების სანავარდოაო" ისარივით მომხვდა ეს სიტყვები.

მას შემდგომ ვამბობ, ან განახლება ჩემს სამშობლოს, ან სიკვდილიო, სწერს ემიგრანტი ჰერცენი ჟურნ. „კოლოკოლში". რუსეთის ინტელიგენცია ბევრს მუშაობდა ხალხის გასაღვიძებლათ. მან დიდი ხანია შეიძულა და განწირა თვითმპყრობელური წესწყობილება. „ნაროდნიკული" მიმდინარეობა მესამოციან წლებში მშრომელ მასაში, მიწის მუშა გლეხობაში ეძიებდა იმ რისხვას, რომელსაც არსებული რეჟიმი უნდა დაემხო. ეს გზა სწორი იყო, მაგრამ ხელოვნურად არაფერი გაკეთდა.

ტურგენიევის პროპაგანდა ხალხმა მიიღო, მაგრამ დასახულ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ შესაფერი დრო იყო საჭირო, რაც იმ ჟამად არ დამდგარა.

ასეთი დამარცხება რუსეთის ინტელიგენციამ ბევრჯელ განიცადა, მაგრამ იგი ამას არ შეშინებია. თავის ენერგიით და თავგამოდებით, ბრძოლით რუსეთის ინტელიგენციამ ყველა განათლებულ ქვეყნის ინტელიგენციას გადააჭარბა. 40 წლის განმავლობაში იგი ძლიერ „ფარულ ბრძოლას" ეწეოდა, რასაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია. 1891 წელს პეტროგრადში ფარულ კრებაზე რუსეთის ინტელიგენცია ადგენს:

„რაც შეიძლება ძლიერი პროპაგანდა აწარმოოს ხალხში რევოლუციის მოსახდენად".

1905—6 წ. რევოლუცია მოხდა. ამ რევოლუციას იაპონიის ომმა შეუწყო ხელი, იგი საერთო ხასიათს იღებდა და შეიძლება ხალხის გამარჯვებითაც დამთავრებულიყო, რომ მეფის მთავრობას საჩქაროდ ზავი არ ჩამოეგდო.

უკანასკნელ დროს რუსეთის მმართველობის სიძულვილი თითქმის ყოველ ქვეშევრდომის გულში გაჩნდა. თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, სამღვდელოება და გაერთიანებული მშრომელი ხალხი ერთი მიზნის გასანადღებლად დაირაზმა.

განაჩენი ისევ ომმა გამოიტანა. მსოფლიო სისხლის ღვრაში ჩარევამ ისე არივდარია რუსეთის ცხოვრება, რომ ტახტის დაცემა სულ ადვილი შეიქმნა.

აწინდელი რევოლუცია საერთო და ეროვნული გახდა.

რატომ?

იმიტომ, რომ რევოლუციაში მთელი ხალხი მონაწილეობდა.

რუსეთის ყველა ხალხი გრძნობდა, რომ თვითმპყრობელობის მუხრუჭში ყოვლად შეუძლებელი იყო შემოქმედებითი ცხოვრება და ბედნიერება.

ახლა ჩვენ ვიკითხავთ, რა ნაკლი ახლავს რევოლუციას და რა გვარი დაბრკოლებანი ელობებიან მას წინ!

რუსეთი მარტო რუსებს არ ეკუთვნის.

რუსეთის ფარგლებში მოქცეულია მრავალი სხვა ეროვნება, რომელნიც საერთოდ 70 მილიონ სულს შეიცავენ.

ამათშორის უმეტესობას წარსულში ჰქონდა საკუთარი სახელმწიფური ცხოვრება, ზოგი მათგანი კულტურით და ეკონომიურ შეძლებითაც მპყრობელ რუსის ერზე წინ სდგას. ყველაზე თავგანწირვით ძველ რეჟიმს პატარა ერები ეკვეთენ, რადგან თვითმპყრობელობა ყველაზე უფრო არა რუს ეროვნებებს სტანჯავდა. ცხადია თვითმპყრობელობის დამხობისას პატარა ერები დიდ ნაყოფს მოელოდენ.

აი, აქ გადიშალა რევოლუციისთვის ტრაღიკული ფურცლები და დაიბადა დაბრკოლება. რევოლუციურმა რუსეთმა ეროვნულ კითხვას ჯეროვანი პასუხი ვერ მისცა. მოსკოვის სოც. დემ. ორგანო „სოც.-დემ." სწერს: რუსეთში ყველა-

ფერი ძველებურათ რჩება. განთავისუფლებული რუსის ერი პატარა ერებს ისევ მონობაში სტოვებსო განლართული გზა გამოჩნდა.

არა რუსი ერები თავისას მოითხოვენ, დროებითი მთავრობა ყველა მთხოვნელს დამფუძნებელ კრებაზე უთითებს.

ეროვნულ კითხვის გადადება კი რუსეთის შინაგან სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ართულებს და ამწვავებს.

მონობისგან განთავისუფლებულმა რუსის ერმა ვერ შესძლო ჯერჯერობით დაჩაგრულ ერთა სამართლიან პოლიტიკურ მისწრაფებათა განხორციელების იმდენად უზრუნველყოფა, რომ ეროვნული ბრძოლა რუსეთის რევოლუციის მეტად გამართულებელ ელემენტად არ მოვლენოდა.

სხვა დაბრკოლება?

ომი.

ომი რუსეთისთვის ეროვნული არ იყო, იგი ხელოვნურად შექმნა მეფის მთავრობამ. რევოლუციას მისი განგრძობა არ უნდა. ომი რუსეთის განახლებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

რუსეთის წინაშე დასმულია კითხვა, ომი თუ ზავი?

დღევანდელ მომენტში ომის წარმოებას ყოველგვარი აზრი ეკარგება.

! მაგრამ ზავის ჩამოგდება არც ისე ადვილი საქმეა. მოკავშირენი, რომლებიც დღემდის ფულით ეხმარებოდენ რუსეთს, დღეს არ მისცემენ მას ნებას სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს. შეგნებით ვერც რუსეთი დათანხმდება სეპარატიულ ზავს.

რუსეთის ხალხი ყველაფერში გამოუცდელობას იჩენს. იმ დროს, როდესაც იგი გარეთ მთელ ქვეყანას აკვირვებს და გასაახლებლათ მოუწოდებს, შიგნით მას საშინელი კრიზისები და ხაოსი აქვს.

იმ დროს, როდესაც ინგლისში, გერმანეთში და საფრანგეთში ომისთვის ხალხი აღტაცებული მუშაობს და ყოველგვარ კრიზისს აღმოცენებისთანავე სპობს, რუსეთში ამის მსგავსს ვერას ვხედავთ. ინგლისის ეროვნული სიმდიდრე ამ ომის დროს 14 მილიარდი მანეთით გაზრდილა. რუსეთს კი ომის განმავლობაში არა თუ ეროვნული სიმდიდრე დაუგროვდა, არამედ 40 მილიარდამდე ვალი დაედო.

რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი მრავალია.

რუსეთი ეკონომიურათ ჩამორჩენილი ქვეყანაა. მას ასეთი დიდი, მსოფლიო ომის საწარმოებლად საკმაო ეროვნული სიმდიდრე არ გააჩნია. შეძლებული კლასები მოვალეობათ არ იხდიან სამშობლოს დახმარებას. მოუწყობელი, ძველი წესით წარმოებული რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა დღეს „რღვევას“ განიცდის. მწარმოებელმა და მუშამ რევოლუციის ინტერესზე მაღლა თავისი კერძო ინტერესი დააყენეს.

ამას უნდა მიუმატოთ „ეროვნული უსწორ-მასწორობაც“. არა რუსების ბედი ჯერ მეტად გამოურკვეველ მდგომარეობაშია.

ცხადია, რომ ასეთ მრავალფეროვან უთანხმოების დროს ძნელია საერთო აღფრთოვანება.

**სანტ.**

# პლეხანოვი და უკრაინელები.

პლეხანოვი თავის გაზეთ „Единство-ში“ უკრაინელებს ავტონომიას ულოცავს. სოციალ-დემოკრატების ამ საუკეთესო ბელადს ნათლად აქვს წარმოდგენილი ხალხის თავისუფლება. ვინ არ იცის დამწყვდეული ჩიტის ნატვრა, რომ მას გალიაში მიტანილს ათას-ვარ საკენკს,-სიმშილის განცდა, მაგრამ ჰაერში თავისუფლად ფრენა ურჩევნია. რუსეთის დამონებული წვრილი ერები სწორედ გალიაში დამწყვდეულ ჩიტუნიას ჰგავან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩიტს გალიაში საკენკი მაინც ბევრი ჰქონდა, და რუსეთის წვრილს ერებს, სხვადასხვა უბედურებასთან, არც საკენკი აქვსთ. გასაოცარი იყო აქამდის მაინც ზოგიერთ დემოკრატიულ პარტიის მოქმედება. მათი ლოზუნგი: ძმობა, ერთობა და თავისუფლება ყველამ ვიცით და რა თავისუფლებაა ის თავისუფლება, თუ ჩემი ვინაობის სრული გამორკვევის ნებას არ მაძლევ და ჩემდა უნებურად „ცენტრისკენ“ მიმაქანებ. „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“ და მაინცა და მაინც რათ მეძალებით, რომ მე, ჩემი უსაყვარლესი სალი კლდეები, უკვდავების, მაგრამ უცხო ჯიშის ხეზე გავცვალო?! არა აქ ორში ერთია, ან არა ხარ შენ, ჩემო მეგობარო, თავისუფლების მქადაგებელი და ან ცუდათ ესმის თავისუფლება. ამ ორში უსათუოდ ერთია. მადლობა ღმერთს დღეიდან ეს ბურუსი გამორკვეულია. სოციალ-დემოკრატების მამათ-მთავარი, დიდი პლეხანოვი, საქვეყნოდ ტაშს უკრავს ავტონომიას და მას, ვიმეორებ, ულოცავს უკრაინელებს. დღეს თუ უკრაინელებს ეშველათ ხვალ უსათუოდ ჩვენ გვეშველება და ასე ქვეყნიერებაზე თანდათანობით დამყარდება სასუფეველი და სამოთხე ღვთისა, რასაც ასე მოუთმენლად ელოდება კაცობრიობის დატანჯული ნაწილი რამოდენიმე მილიონი საუკუნის განმავლობაში.—

**მ. ბუაჩიძე.**

# იმერეთის ეპარქიის დიაკონთა და მედავითნეთა კავშირის დამფუძნებელი კრება.

ოთხშაბათს, 13 ივნისს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მოხდა დიაკონთა და მედავითნეთა კავშირის დამფუძნებელი კრება: კრება გახსნა ევ. ჭარხალაშვილმა და გააცნო დამსწრეთ შეკრების მიზანი და კავშირის დაარსების საჭიროება. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ე. ჭარხალაშვილი, მდივნათ ო. სვანიძე. წაკითხულ და ვარჩეულ იქნა მუხლობით კავშირის წესდება, რომელიც შესწორების შემდეგ მიიღო და დაამტკიცა კრებამ. წესდებაში ნათქვამია, რამდენი წლის უნდა იქნეს მედავითნე, როდესაც პირველად მიდის ამ ადგილზე, კრებულის შემოსავლიდან რამდენი ნაწილი ერგება, კანდიდატების გამორჩევა ახალ ადგილებისათვის სად და როგორ უნდა მოხდეს და სხვა... საწევრო გადასახადი კრებამ დაადგინა წელიწადში ორი მან. ბოლოს მოხდა გამგეობის წევრთა არჩევნები; ხმის უმეტესობით გამგეობაში აირჩიეს: დიაკონი ბართლომე კუხიანიძე, მედავითნეები—იოს. ლორთქიფანიძე, პლ. ჯიშკარიანი, ევ. ჭარხალაშვილი და ონ. სვანიძე; კანდიდატებათ—კ. არსენიშვილი, ბ. ტოგონიძე და ი. ნიკოლაძე. კავშირის წესდებას დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მედავითნეებს, რომელიც დაიბეჭდება, როგორც ადგ. გაზეთებში, ისე ცალკე წიგნაკადაც. ვალდებულია ყველა ამ პროფესიის პირი ჩაეწეროს ამ კავშირში და შემოიტანოს საწევრო გადასახადი.

**ლ. ბ—ლი,**

# ანგარიში საადგილ-მამულო კომისიისა.

წელიწადი მეათე.

1916 საანგარიშო წელს საადგილ-მამულო კომისიის დახმარებით 350 კომლმა ქართველმა შეიძინა 2509 დესეტინა მიწა, 228000 მანეთად ღირებული.

საადგილ-მამულო კომისიის დაარსების დღიდან, ათი წლის განმავლობაში (1907—1917 წლ.), კომისიის შუამავლობით და დახმარებით ქართლ-კახეთში 11430 კომლმა ქართველმა შეიძინა 212 მამული, სივრცით 50,849 დეს. 598 კვ. ს, 2,685,168 მან. ღირებული.

თუმცა შედარებით წარსულ წელთან, საანგარიშო წელიწადი უფრო მძიმე იყო და სოფლის ხალხი უფრო შეწუხებული სამხედრო ბეგარით, მოუსავლობით, სასურსათო კრიზისებით და ქაღალდის ფულის ფასის დაცემით—მიუხედავად ამისა, მიწის სყირვის მოთხოვნილება არ შეჩერებულა და აქა იქ გადარჩენილი ღონიერი სოფლელი მამულის შეძენას მაინც ეტანებოდა.

საანგარიშო წელს კომისიამ გასცა სესხად და მიბარებით („ვკლადით“). სულ 155626 მან. აქედან მიწის სასყიდლად—36000 მანეთი; წვრილ კრედიტის ამხანაგობებს და მომხმარებელ საზოგადოებებს —33500 მან; მიბარებით 6 პროც. კვალობაზე სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს—60900 მან.; დანარჩენი 25226 მანეთი გასცა სესხად სხვადასხვა საჭიროებისთვის კერძო პირზე და საზოგადოებებზე.

ათი წლის განმავლობაში კომისიამ გასცა სესხად სულ 295890 მ. 34 კ., საანგარიშო წელს მოვალეებმა დაუბრუნეს კომისიას 88.316 მან. 7 კ. ამავე წელს გაცემულ ფულზე შემოვიდა სარგებელი 10.228 მ, 71 კ, შედარებით 1915 წელთან—5554 მან. 14 კ. მეტი,

1916 წელიწადი კომისიის ცხოვრებაში მეტად ძნელი წელიწადი იყო. 16 თიბათვეს გადაიცვალა ძვირფასი მუშაკი კომისიისა, მდივანი ა. თ. ყიფშიძე. სოფლის ხალხის ჭირ-ვარამის კაი მცოდნის და ასეთ მომზადებულ მოღვაწის დაკარგვა, რასაკვირველია, მძიმე დანაკლისად დააწვებოდა კომისიის მუშაობას. ამ უბედურებას ზედ დაერთო წასულ ბოლო წლის აწეწ-დაწეწვა. ცხოვრების ყველა საჭირბოროტო კითხვები რყევის ხანას განიცდიდენ. მათი მოვლა შეუძლებელი გახდა. არვინ იცოდა ხვალ რა იქნებოდა. დაიწყებდით თუ არა რაიმე საქმეს, მეორე დღესვე, გარეშე პირობების შეცვლის გამო, იძულებული იყავით მიგეტოვებინათ იგი.

სანამ ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ნორმალ კალაპოტში მიმდინარეობდა, საადგილ მამულო კომისიამ მიიღო ახალი სამუშაო გეგმა და მოახდინა რეორგანიზაცია თავის საქმის წარმოებისა. მოიწვია გამოცდილი ბუჰგალტერი, შემოიღო ახალი საანგარიშო წიგნები და საორდერო წესი ფულის გადაცემ-გადმოცემაში. გამოჰყო სამიწიხმზომლო და საკონსულტაციო განყოფილებები, რომლის გასაძღოლად მოიწვია გამოცდილი მიწის მზომელი (იგივე ნაფიცი ვექილი) გ. მ. ქორქაშვილი, მოაწყო განსაკუთრებული საავენტურო ბიურო თავის განყოფილებით ქუთაისში, რომლის მიზანი იყო პროპაგანდა და ხელის შეწყობა ქართველების გადმოსახლებისთვის აღმოსავლეთისაკენ. თანაც ბეჯითად აგროვებდა, საყურადღებო სასტატისტიკო მასალებს, ახალ საბუთებს, ქართულ მოსახლეობის შესახებ, შეუდგა სპეციალურ ბიბლიოთეკის შედგენას და სხვადასხვა. ერთი სიტყვით არა ერთ და ორ მწვავე საჭირბოროტო საქმეს მოჰკიდა ხელი კომისიამ, მაგრამ არეულმა დრომ აღარ დააცალა კომისიას ბევრ სასარგებლო საქმის დაბოლოვება-მოგვარებას.

მიმდინარე 1917 წელმა ხომ მთლად გადააყირავა ძველი ცხოვრება. რუსეთის რევოლიუციამ მოსპო დახავსებული თვითმპყრობელობა და მის ნანგრევების ქვეშ მოაყოლა მისი ქვა-კუთხედიც—რუსეთის თავად აზნაურობის წოდებრივი ორგანიზაციები. აშკარაა, რომ რევოლუციის პირველი ნაბიჯი წოდებრივობის და მის პრივილეგიების გაუქმებისაკენ იქნება გადადგმული. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველ თავად-აზნაურობის დაწესებულებებსაც ახლო მომავალში საგრძნობი ცვლილება მოელის.

ამიტომ შესაძლოა მალე დაიბადოს კითხვა თავად-აზნაურობის თანხების მომავალ ბედის გადაწყვეტისა. შემთხვევისათვის თუ ასეთი კითხვა დაიბადება სასოფლო სამეურნეო თანხის შესახებ, საადგილ-მამულო კომისია საჭიროდ სცნობს მიმართოს თავად-აზნაურთა კრებას რამოდენიმე რჩევით.

მიუხედავათ პოლიტიკურ ცხოვრების ცვალებადობისა ურყევლად ჩაითვლება ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიური მომავალი განსაკუთრებით დამოკიდებულია ინტენსიურ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და სამელიორაციო ტეხნიკის გავრცელებაზე. თუ პირველი გაასკეცებს მეურნის შრომის ნაყოფს და შემოსავალს. მელიორაციის საშუალებით, დღევანდლამდის უქმად მყოფი „უვარგისობის“ გამო მრავალიმამული გამოსადეგ ადგილებად გადაიქცევა და ამით ცოტად თუ ბევრად, ჩვენს ხალხს ხელს შეუწყობს მიწის სივიწროვიდან თავის დაღწევას. შავი ზღვის ნაპირები, რიონის და ალაზანის ველები, შირაქის უდაბნოები, აი დიდი ასპარეზი სამელიორაციო სამუშაოსი. სოფლის მეურნეობის გამაგრება ეს უპირველესი საზრუნავია ყოველ შეგნებულ მამულიშვილისა. ამიტომ კომისია სამართლიანად ფიქრობს, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო თანხა უახლოეს მომავალში მთლად უნდა მოხმარდეს საქართველოს მეურნეობის საჭიროების საქმეს. იმის შესახებ თუ ვინ უნდა განაგებდეს ამ თანხას, კომისია ამ შემთხვევაში კრებას ორ გზას უჩვენებს:

1. ხსენებული თანხა შესაძლოა, განსაკუთრებულად დაარსებულ „ქართულ სამელიორაციო საზოგადოებას“ ფონდათ გადაეცეს, რომლის წევრებად ის ქართველი მეურნეები ჩაითვლებიან, ვინც თავის მხრივაც დაწესებულ საპაიო გადასახადს შემოიტანენ.

2. თავად-აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო თანხა შესაძლოა შეუერთდეს არსებულ ქართლ-კახეთის ღლეხთა სასოფლო-სამეურნეო თანხას და ამ ფულით დაარსდეს „ქართული სამეურნეო-სამელიორაციო ბანკი“ გრძელ ვადიან სესხისა.

ამ ორივე შემთხვევაში თავად-აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო თანხა შეასრულებს თავის დიდ დანიშნულებას და მართლადაც დიდათ ხელს შეუწყობს ახალ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების გაშლას და გაფურჩქვნას.

ამისათვის საადგილ-მამულო კომისია, გარდა თავის მორიგ საქმეებისა, დაევალება მოაგროვოს გაცემული ფულები და უახლოეს დროსთვის შეიმუშაოს ორივე ზემოხსენებული პროექტი.

**„საქ.“**

# საქონლის ჭირთან ბრძოლის პირობები

### დასავლეთ საქართველოში.

I

საქონლის ჭირი ისე გაძლიერდა დასავლეთ საქართველოში, რომ დიდ ზარალს უქადის იგი ისედაც დაზარალებულ და და უმუშახელოდ დარჩენილ გლეხს. საქონლის ჭირი გაძლიერდა მიუხედავად იმისა, რომ ქუთ. სავუბ. სამმართველოს საბეითლო განყოფილება არსებობს და მიუხედავად იმისა, რომ საქონლის ჭირთან ბრძოლას ხელმძღვანელობენ სათანადოთ მომზადებულნი გაწრთვნილნი, საზოგადო ინტერესით აღჭურვილი ბეითლები, მაგრამ ძველი რეჟიმის დროს ისეთი პირები უდგნენ კავკასიის მთავარ საბეითლო ნაწილს და ისე ინერტულად მოქმედებდა ხსენებული განყოფილება, რომ მოვლენილ შავ ჭირს სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ და ისიც კი არ იყო გამორკვეული, თუ ჭირიან საქონლის ასაცრელი შრატი კავკასიის ყველა ნაწილებში გამოდგებოდა, თუ არა. ერთის სიტყვით, არსებობდა მთელ რუსეთში ერთად ერთი ზურნაბადის შრატის დამამუშავებელი სადგური, სადაც ერთობ სუსტი სიძლიერის და ერთობ ნაკლებ ღირსების შრატი მზადდებოდა. მოედო თუ არა საქონლის ჭირი, აღმოჩნდა, რომ ზურნაბადის სადგური იმის მეათედსაც ვერ ამზადებს საქონლის შრატს, რაც მარტო ამიერ კავკასიას სჭირდება. ხოლო თვით ეს შრატი გამოსადეგი ყოფილა მხოლოდ გუმბრისა და ერევნის გუბერნიებში.

ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც დას. საქ. მთავარმა ბეითალმა ა. ფარცვანიძემ კულაში საგანგებოდ გამოსცადა ზურნაბადის სადგურზე დამზადებული შრატი. აღმოჩნდა, რომ სრულიად უნაყოფო არის ზურნაბადულ შრატით ჭირიან საქონლის აცრა დას. საქართველოში. ამ შრატით აცრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნაყოფიერი, თუ ათი იმოდენას ჩაუშვებენ საქონლის სხეულში, მაგრამ მაშინ დიდძალი შრატია საჭირო. ამნაირად ეს საშუალება საქონლის ჭირთან საბრძოლველად თითქმის უნაყოფო გამოდგა.

### ღია წერილი,

**გიორგი ზდანოვიჩს და კიტა აბაშიძეს.**

რვა თუ ცხრა წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც შავი ქვის საზოგადოება მოისპო და ეგრეთ წოდებული, ბერლინის მანგან-სინდიკატი, რომელმაც ქვესკნელში გაარონია ჩვენი მარგანეცის საქმე და ერთი მილიონი მანეთი კიდევ ვალათ დაგვატეხა, გავისტუმრეთ. ასე იყო თუ ისე, მაგრამ ამ ერთი მილიონი მანეთის ვექსილები ანუ ვექსილის ბლანკები, რომელიც საზოგადოების წევრებმა მანგან-სინდიკატს მივეცით, გარანტიათ მის წინაშე პასუხის გებისა, დღესაც არ დაგვბრუნებია ეს ბლანკები გაბარიათ, ჩვენდა დასაბრუნებლად თქვენ, როგორც საზოგადოების რწმუნებულ კაცებს, და გთხოვთ დაუყოვნებლივ დაგვიბრუნოთ. მგონია დროც იყოს და ჩვენ პირიდი თხოვნა მოგვეწყინა:

სიკვდილ-სიცოცხლე არის და რათ უნდა ვსწუხდეთ და ვშიშობდეთ რამე ცუდს შემდეგზე. თუმცაღა პირადათ თქვენზე არაზფერი ეჭვი არა გვაქვს.

ვიცით თქვენ გმართლებთ [illegible] რომ ... ვილაცეებზე დარჩა თქვენთან სესხათ მიღებული საზოგადოების ფული, რომლისაგან ზოგ-ზოგ ნამსახურ კაცს უნდა მიეცეს ჯილდო საზოგადო კრების დადგენილებით; მაგრამ თქვენც კარგათ იცით და ჩვენც, რომ ეს სესხი საუკუნოთ დაკარგულია, რასაც პირდაპირ ამტკიცებს ის, რომ მის ასაღებათ თითიც არ გაგინძრევიათ ჯერ. რაც შეეხება ჯილდოს ამაზედაც ყველას ხელი აგვიღია.

მე თვითონ მერგება 1000 მ. და ოღონდ ჩემი 15000 მ. ვექსილი დამიბრუნეთ და ეგ ჯილდო თქვენვე მოიხმარეთ, როგორც გნებოსთ.

**დავით ბაქრაძე.**

### წერილი რედაქციის მიმართ

პატივსცემულო ბ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და ჩვენს მიერ დ. ახალსენაკში გამართულ წარმოდგენა საღამოს მოწყობის საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიღეს. მაგალითად მადლობას ვუცხადებ ბბ. ე. ჰანტურიას, ლილი ბენდელიანს თ. ჩილაჩავას ძ. ნ. და ტ. ჰანტურიებს ნ. კალანდარაშვილს ზ. ჯაიანს ნ. ხუნწარიას ნ. ხვიჩიას ა. სირიას დ. ხუბუტიას, ც. ხოფერიას, სვანაკელ სცენის მოყვარეებს და დასასრულ დამსწრე საზოგადოებას პატივისცემისათვის.

სცენის მოყვარე **მიხეილ ლვამიჩავა.**

დ. ახალ-სენაკი.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**


# ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სად. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4


# რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | „ |
| „ | ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ქუთაისში დაარსდა ახალიწიგნის გამომცემლობა

# „განათლება“

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში